

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ V&S Brothers “ ს/კ 404418849

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2023

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „V&S Brothers“

### სარჩევი

|                                                                                                                                            |      |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... | 3    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                                                                                    | 4    |
| მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                                                                 | 5    |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება .....                                                                                                      | 6    |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....                                                                                                     | 7-17 |
|                                                                                                                                            |      |
| შენიშვნა 1. კორპორატიული ინფორმაცია.....                                                                                                   | 7    |
| შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი .....                                                                              | 7    |
| შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                                                                      | 7    |
| შენიშვნა 4. ამონაგები.....                                                                                                                 | 14   |
| შენიშვნა 5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება .....                                                                                      | 14   |
| შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები .....                                                                                                     | 15   |
| შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                                                                               | 16   |
| შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები .....                                                                        | 16   |
| შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                                                                             | 16   |
| შენიშვნა 10 . ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....                                                                                      | 17   |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „V&S Brothers“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „V&S Brothers“ ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდაკონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების ესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

---

ვახტანგ ნიკუჭაძე

დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

|                                        | შენიშვნები | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------|------------|---------------------------|---------------------------|
| აქტივები                               |            |                           |                           |
| გრძელვადიანი აქტივები                  |            |                           |                           |
| ძირითადი საშუალებები                   | 6          | 22,986                    | 29,210                    |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები             |            |                           |                           |
| სულ გრძელვადიანი აქტივები              |            | 22,986                    | 29,210                    |
| მიმდინარე აქტივები                     |            |                           |                           |
| მარაგი                                 |            | -                         | -                         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 7          | 69,542                    | 79,960                    |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები       | 8          | 54,908                    | 87,043                    |
| საგადასახადო აქტივი                    |            | 3,614                     |                           |
| სულ მიმდინარე აქტივები                 |            | 128,064                   | 167,003                   |
| სულ აქტივები                           |            | 151,049                   | 196,213                   |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები     |            |                           |                           |
| საკუთარი კაპიტალი                      |            |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                     |            | 262,780                   | 241,480                   |
| აკუმულირებული მოგება-ზარალი            |            | (63,613)                  | (29,352)                  |
| მოგება-ზარალი პერიოდზე                 |            | (71,883)                  | (34,321)                  |
| სულ საკუთარი კაპიტალი                  |            | 127,224                   | 177,807                   |
| გრძელვადიანი ვალდებულებები             |            |                           |                           |
| სასესხო ვალდებულებები                  |            | -                         | -                         |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები         |            | -                         | -                         |
| მოკლევადიანი ვალდებულებები             |            |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 9          | 23,825                    | 14,472                    |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ    |            | --                        | 976                       |
| საგადასახადო ვალდებულებები             |            | ---                       | 2,958                     |
| სხვა ვალდებულებები                     |            | 0                         | 0                         |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები         |            | 23,825                    | 18,405                    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები |            | 151,049                   | 196,213                   |

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი  
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ V&S Brothers”

მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

, (ქართულ ლარში ),

|                                                | შენიშვნები | 12/31/2022      | 12/31/2021       |
|------------------------------------------------|------------|-----------------|------------------|
| <b>საოპერაციო შემოსავლები</b>                  |            |                 |                  |
| მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი     | 4          | 1,521,081       | 2,902,536        |
| რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება        | 5          | 2,220,840       | 2,177,937        |
| საერთო მოგება                                  |            | <b>300,241</b>  | <b>724,603</b>   |
| <b>სულ მიწოდების ხარჯები</b>                   |            |                 |                  |
| შრომის ანაზღაურება                             |            | 155,580         | 387,577          |
|                                                |            | 75              | 679              |
| საკანცელარიო ხარჯი                             |            |                 |                  |
| საიჯარო ქირა                                   |            | 72,540          | 138,418          |
| კომუნიკაციის ხარჯები                           |            | 4,414           | 3,6229           |
| ოფისის ხარჯი                                   |            | 4,259           | 8,239            |
| კომუნალური ხარჯი                               |            | 390             | 10,753           |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი               |            | 705             | 1,750            |
| ბანკის მომსახურების სსკომისიო                  |            | 451             | 944              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                           |            | 6,226           | 5,916            |
| სხვა ხარჯები                                   |            | 117,881         | 185,181          |
| წინა პერიოდის შეცდომის გასწორება               |            | -               | ---              |
| სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები          |            | <b>362,523</b>  | <b>745,685</b>   |
| საოპერაციო მოგება/ზარალი                       |            | <b>(62,283)</b> | <b>(21,082)</b>  |
| <b>არასაოპერაციო შემოსავლები</b>               |            |                 |                  |
| შემოსავალი კურსთაშორის სხვობიდან               |            | ---             | (13,239)         |
| შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან |            |                 |                  |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                 |            | ---             | --               |
| საპროცენტო შემოსავალი                          |            |                 |                  |
| სულ არასაოპერაციო შემოსავლები                  |            |                 | <b>( 13,239)</b> |
| <b>არასაოპერაციო ხარჯები</b>                   |            |                 |                  |
| ხარჯი კურსთა შორის სხვობიდან                   |            | 9,600           | --               |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                       |            |                 |                  |
| სულ არასაოპერაციო ხარჯები                      |            | 9,600           |                  |
| არასაოპერაციო მოგება/ზარალი                    |            | <b>(9,600)</b>  | (13,239)         |
| საოპერაციო/არასაოპერაციო მოგება/ზარალი         |            | <b>(71,883)</b> | (34,321)         |

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი  
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers "

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

|                                            | შენიშვნები | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელ<br>მოგება-ზარალ | სულ       |
|--------------------------------------------|------------|------------------------|------------------------------|-----------|
| 01.01.2021 ნაშთი                           | -          | -                      | 212,128                      | 212,128   |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება         | -          |                        | ---                          | ----      |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება | -          | -                      |                              |           |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი     | -          | -                      | (34,321)                     | (34,321)  |
| 31.12.2021 ნაშთი                           |            | -                      | 177,807                      | 177,807   |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება         | -          | -                      | 21,300                       | 21,300    |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება | -          | -                      |                              | -         |
| მოცემული პერიოდის მოგება-ზარალი            | -          | -                      | (71,883)                     | ( 71,883) |
| 31.12.2022 ნაშთი                           |            | -                      | 127,224                      | 127,224   |

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი  
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

#### შენიშვნა 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „V&S Brothers “,საიდენტიფიკაციო ნომრით 404418849 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2012 წლის 13 მარტს . საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო ქალაქი თბილისი კველიძის 10 . საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, დიდუბე ჩუღურეთის რ-ნი ა. ბელიაშვილის 59 ..

საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორები არიან :

1. სამველ გრიგორიან (01030028685)-25% წილი
2. ვახტანგ ნიკუჭაძე (01030000709) -75% წილი

საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტრანსპორტირების დამხმარე საქმიანობას, ტერმინალზე სატერმინალო მომსახურებას.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

#### შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

#### შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკაშემოსავლის აღიარება

შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

## სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯის გამოკლებით, ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ: მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრომიზნებისთვის

მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში.  
ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად  
ვალდებულებამიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისგანმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრომიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისშემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხები, რომლებიც შემთხვევაში თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
(ქართულლარში)

## სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალსო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

## სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## მიღებული ავანსები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიღებული ავანსები, წარმოდგენილია „გამოუმუშავებელი შემოსავლების „

მუხლში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

## ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირიდან ხარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )  
ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურე- ბის ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებ- ბებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

| ჯგუფი                | წელი |
|----------------------|------|
| კომპიუტერული ტექნიკა | 5-10 |
| ოფისის აღჭურვილობა   | 5-10 |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირე- ბულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი. მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულებამოიცავს შესყიდვის ყველაწიარ დანახარჯს და სხვა ხარჯს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდებარეობაში მოსაყვანად. მაგალითად ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯებია.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

**2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდი ფასს შორის. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

### იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფი- ვი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადისგანმავლობაში.

### ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

## გადასახადები.

მოგების გადასახადი - 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი

„კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით

„მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

### 3. მნიშვნელოვანისააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები. ზოგიერთი ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ ერთობლივი საქმიანობის მიზნებისათვის შეძენილი, ან ერთობლივ საქმიანობაში შეტანილი ერთი ან რამდენიმე აქტივის ერთობლივ კონტროლს და ხშირად ასევე ამ აქტივების ერთობლივ საკუთრებასაც. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში თავის წილთან მიმართებაში, სრულუფლებიანმა მონაწილემ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს: (ა) თავისი წილი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება აქტივების ბუნების შესაფერისი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით; (ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკუთარი ვალდებულება; (გ) თავისი წილი სხვა სრულუფლებიან მონაწილესთან ერთად აღებულ ვალდებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ საქმიანობასთან; (დ) ერთობლივი საქმიანობის პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე ერთობლივი საქმიანობისათვის გაღებულ ხარჯებში საკუთარი წილი; და (ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გასწია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
 ( ქართულ ლარში )

შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდსან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომაქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასებისცვლილებას.

შენიშვნა 4. ამონაგები

|                        | 2022 წლის31<br>დეკემბერი | 2021 წლის31<br>დეკემბერი |
|------------------------|--------------------------|--------------------------|
| მომსახურების გაწევიდან | 1,521,081                | 2,902,536                |
| ჯამი                   | 1,521,081                | 2,902,536                |

შენიშვნა 5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

|                    | 2022 წლის31<br>დეკემბერი | 2021 წლის31<br>დეკემბერი |
|--------------------|--------------------------|--------------------------|
| მომსახურების ხარჯი | 1,220,840                | 2,177,933                |
| ჯამი               | 1,220,840                | 2,177,933                |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

( ქართულ ლარში )

შენიშვნა 6. ძირითადი  
საშუალებები

|                                       | მიწა | დაუმთავრებელი<br>შენიშვნა | ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის<br>აღწერილობა | არამატერი<br>ალური<br>ექტივი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარი<br>თ<br>აღებუ<br>ლი<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | სულ      |
|---------------------------------------|------|---------------------------|------------|------------------------|----------------------|------------------------------|-----------------------------|------------------------------------------------------|----------|
| <i>საბალანსო ღირებულება</i>           |      |                           |            |                        |                      |                              |                             |                                                      |          |
| დეკემბერი 31, 2020                    | -    | -                         | -          | --                     | 59,767               | -                            | -                           | -                                                    | 59,767   |
| შემოსვლა                              | -    | -                         | -          | --                     | 6,272                | -                            | -                           | -                                                    | 6,272-   |
| გასვლა                                | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                    | -        |
| დეკემბერი 31, 2021                    | -    | -                         | -          | -                      | 66,039               | -                            | -                           | -                                                    | 66,039   |
| შემოსვლა                              | -    | -                         | -          | -                      | ---                  | -                            | -                           | -                                                    | -        |
| გასვლა                                | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                    | -        |
| დეკემბერი 31, 2022                    | -    | -                         | -          | -                      | 66,039               | --                           | -                           | -                                                    | 66,039   |
| <i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i> |      |                           |            |                        |                      |                              |                             |                                                      |          |
| დეკემბერი 31, 2020                    | -    | -                         | -          | --                     | ( 30,914)            | -                            | -                           | --                                                   | (30,914) |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | -    | -                         | -          | -                      | (5,916)              | ---                          | -                           | ---                                                  | (5,916)  |
| ცვეთის ამოზრუნება გასხვისებაზე        | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                    | ---      |
| დეკემბერი 31, 2021                    | -    | -                         | -          | -                      | (36,830)             | --                           | -                           | ----                                                 | (36,830) |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | -    | -                         | -          | -                      | (6,226)              | -                            | -                           | -                                                    | (6,226)  |
| ცვეთის ამოზრუნება გასხვისებაზე        | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                    | -        |
| დეკემბერი 31, 2022                    | -    | -                         | -          | -                      | (43,056)             | --                           | -                           | --)                                                  | (43,056) |
| <i>ნარჩენი ღირებულება</i>             |      |                           |            |                        |                      |                              |                             |                                                      |          |
| დეკემბერი 31, 2020                    | -    | -                         | -          | -                      | 28,853               | -                            | -                           | ---                                                  | 28,853   |
| დეკემბერი 31, 2021                    | -    | -                         | -          | -                      | 29,209               | -                            | -                           | -                                                    | 29,209   |
| დეკემბერი 31, 2022                    | -    | -                         | -          | -                      | 22,986               | -                            | -                           | -                                                    | 22,986   |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ V&S Brothers “  
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე 2022 წლის 31  
 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ( ქართულ ლარში )

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო დებიტორები                       | 55,778                    | 66,232                    |
| გაუფასურების ზარალის თანხა               |                           |                           |
| სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება |                           |                           |
| წინასწარი გადახდილი ავანსები             | 13,763                    | 13,727                    |
| ჯამი                                     | 69,542                    | 79,960                    |

შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                              | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ფულადი სახსრები სალაროში                     | -                         | ---                       |
| ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე | 54,908                    | 87,043                    |
| მოკლევადიანი ვადიანი ანაზრები ბანკში         | -                         | -                         |
| ოვერდრაფტები                                 | -                         | -                         |
| ჯამი                                         | 54,908                    | 87,043                    |

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                   | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სხვა ვალდებულებები                                |                           |                           |
| სავაჭრო ვალდებულებები                             | 12,680                    | 3,326                     |
| მ.შ. ა) დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი |                           |                           |
| ბ) სხვა მომწოდებლებისათვის გადასახადელი           |                           | 5,287                     |
| წინასწარ მიღებული თანხები                         | 11,145                    | 11,145                    |
| ჯამი                                              | 23,825                    | 23,825                    |

შენიშვნა 10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 15 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
 დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი  
 თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ V&S Brothers “ ს/კ 404418849

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2023

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „V&S Brothers“

### სარჩევი

|                                                                                                                                            |      |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------|
| ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ..... | 3    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                                                                                                    | 4    |
| მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....                                                                                 | 5    |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება .....                                                                                                      | 6    |
| ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....                                                                                                     | 7-17 |
|                                                                                                                                            |      |
| შენიშვნა 1. კორპორატიული ინფორმაცია .....                                                                                                  | 7    |
| შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი .....                                                                              | 7    |
| შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა .....                                                                                                      | 7    |
| შენიშვნა 4. ამონაგები.....                                                                                                                 | 14   |
| შენიშვნა 5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება .....                                                                                      | 14   |
| შენიშვნა 6. ძირითადი საშუალებები .....                                                                                                     | 15   |
| შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                                                                               | 16   |
| შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები .....                                                                        | 16   |
| შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....                                                                                             | 16   |
| შენიშვნა 10 . ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება .....                                                                                      | 17   |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „V&S Brothers“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „V&S Brothers“ ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდაკონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების ესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე

დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი

თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "V&S Brothers"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

|                                        | შენიშვნები | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------|------------|---------------------------|---------------------------|
| აქტივები                               |            |                           |                           |
| გრძელვადიანი აქტივები                  |            |                           |                           |
| ძირითადი საშუალებები                   | 6          | 22,986                    | 29,210                    |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები             |            |                           |                           |
| სულ გრძელვადიანი აქტივები              |            | 22,986                    | 29,210                    |
| მიმდინარე აქტივები                     |            |                           |                           |
| მარაგი                                 |            | -                         | -                         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 7          | 69,542                    | 79,960                    |
| ფულადი სახსრები და ექვივალენტები       | 8          | 54,908                    | 87,043                    |
| საგადასახადო აქტივი                    |            | 3,614                     |                           |
| სულ მიმდინარე აქტივები                 |            | 128,064                   | 167,003                   |
| სულ აქტივები                           |            | 151,049                   | 196,213                   |
| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები     |            |                           |                           |
| საკუთარი კაპიტალი                      |            |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                     |            | 262,780                   | 241,480                   |
| აკუმულირებული მოგება-ზარალი            |            | (63,613)                  | (29,352)                  |
| მოგება-ზარალი პერიოდზე                 |            | (71,883)                  | (34,321)                  |
| სულ საკუთარი კაპიტალი                  |            | 127,224                   | 177,807                   |
| გრძელვადიანი ვალდებულებები             |            |                           |                           |
| სასესხო ვალდებულებები                  |            | -                         | -                         |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები         |            | -                         | -                         |
| მოკლევადიანი ვალდებულებები             |            |                           |                           |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 9          | 23,825                    | 14,472                    |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ    |            | --                        | 976                       |
| საგადასახადო ვალდებულებები             |            | ---                       | 2,958                     |
| სხვა ვალდებულებები                     |            | 0                         | 0                         |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები         |            | 23,825                    | 18,405                    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები |            | 151,049                   | 196,213                   |

ხელმოწერის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
დირექტორი

2023 წლის 15 აპრილს  
თბილისი, საქართველო



7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „V&S Brothers“


მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
 „( ქართულ ლარში ),

|                                                | შენიშვნები | 12/31/2022      | 12/31/2021       |
|------------------------------------------------|------------|-----------------|------------------|
| <b>საოპერაციო შემოსავლები</b>                  |            |                 |                  |
| მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი     | 4          | 1,521,081       | 2,902,536        |
| რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება        | 5          | 2,220,840       | 2,177,937        |
| <b>საერთო მოგება</b>                           |            | <b>300,241</b>  | <b>724,603</b>   |
| <b>სულ მიწოდების ხარჯები</b>                   |            |                 |                  |
| შრომის ანაზღაურება                             |            | 155,580         | 387,577          |
|                                                |            | 75              | 679              |
| საკანცელარიო ხარჯი                             |            |                 |                  |
| საიჯარო ქირა                                   |            | 72,540          | 138,418          |
| კომუნიკაციის ხარჯები                           |            | 4,414           | 3,6229           |
| ოფისის ხარჯი                                   |            | 4,259           | 8,239            |
| კომუნალური ხარჯი                               |            | 390             | 10,753           |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი               |            | 705             | 1,750            |
| ბანკის მომსახურების სსკომისიო                  |            | 451             | 944              |
| ცვეთა და ამორტიზაცია                           |            | 6,226           | 5,916            |
| სხვა ხარჯები                                   |            | 117,881         | 185,181          |
| წინა პერიოდის შეცდომის გასწორება               |            | -               | ---              |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b>   |            | <b>362,523</b>  | <b>745,685</b>   |
| <b>საოპერაციო მოგება/ზარალი</b>                |            | <b>(62,283)</b> | <b>(21,082)</b>  |
| <b>არასაოპერაციო შემოსავლები</b>               |            |                 |                  |
| შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან              |            | ---             | (13,239)         |
| შემოსულობა მირითადი საშუალებების რეალიზაციიდან |            |                 |                  |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                 |            | ---             | --               |
| საპროცენტო შემოსავალი                          |            |                 |                  |
| <b>სულ არასაოპერაციო შემოსავლები</b>           |            |                 | <b>( 13,239)</b> |
| <b>არასაოპერაციო ხარჯები</b>                   |            |                 |                  |
| ხარჯი კურსთა შორის სხვაობიდან                  |            | 9,600           | --               |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                       |            |                 |                  |
| <b>სულ არასაოპერაციო ხარჯები</b>               |            | <b>9,600</b>    |                  |
| <b>არასაოპერაციო მოგება/ზარალი</b>             |            | <b>(9,600)</b>  | <b>(13,239)</b>  |
| <b>საოპერაციო/არასაოპერაციო მოგება/ზარალი</b>  |            | <b>(71,883)</b> | <b>(34,321)</b>  |

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
 დირექტორი

2023 წლის 15 აპრილს  
 თბილისი, საქართველო



7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers "

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

|                                            | შენიშვნები | გადავასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელ<br>მოგება-ზარალ | სულ       |
|--------------------------------------------|------------|------------------------|------------------------------|-----------|
| 01.01.2021 ნაშთი                           | -          | -                      | 212,128                      | 212,128   |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება         | -          | -                      | ---                          | ---       |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება | -          | -                      | -                            | -         |
| მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი     | -          | -                      | (34,321)                     | (34,321)  |
| 31.12.2021 ნაშთი                           | -          | -                      | 177,807                      | 177,807   |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება         | -          | -                      | 21,300                       | 21,300    |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება | -          | -                      | -                            | -         |
| მოცემული პერიოდის მოგება-ზარალი            | -          | -                      | (71,883)                     | ( 71,883) |
| 31.12.2022 ნაშთი                           | -          | -                      | 127,224                      | 127,224   |

ხელმძღვანელობის სახელით:

ვახტანგ ნიკუჭაძე  
დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი  
თბილისი, საქართველო



7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )

#### შენიშვნა 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „V&S Brothers“, საიდენტიფიკაციო ნომრით 404418849 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2012 წლის 13 მარტს. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო ქალაქი თბილისი კველიძის 10. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, დიდუბე ჩუღურეთის რ-ნი ა. ბელიაშვილის 59 ..

საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

1. სამველ გრიგორიან (01030028685) -25% წილი
2. ვახტანგ ნიკუჭაძე (01030000709) -75% წილი

საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ტრანსპორტირების დამხმარე საქმიანობას, ტერმინალზე სატერმინალო მომსახურებას.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

#### შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

#### შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკაშემოსავლის აღირება

შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

## სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯის გამოკლებით, ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება. მოგება—ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიან კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ: მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრომიზნებისთვის

მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში.

ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისგანმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად

ვალდებულებამიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისგანმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრომიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვისშემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის საწაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხებიიმ შემთხვევაში თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში(ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
(ქართულულარში)

#### სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალსო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### მიღებული ავანსები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიღებული ავანსები, წარმოდგენილია „გამოუმუშავებელი შემოსავლების „

##### მუხლში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

#### ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირიდან ხარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმპერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყოფაწეული.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
( ქართულ ლარში )  
ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და წებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დაწინაურების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

აქტივების წარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურე- ბის ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებ- ბებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

| ჯგუფი                | წელი |
|----------------------|------|
| კომპიუტერული ტექნიკა | 5-10 |
| ოფისის აღჭურვილობა   | 5-10 |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის წორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან წარჩენი ღირე- ბულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეცვლების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის წარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის წარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი. მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულებამოიცავს შესყიდვის ყველაწაირ დანახარჯს და სხვა ხარჯს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდებარეობაში მოსაყვანად. მაგალითად ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯებია.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” V&S Brothers“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდი ფასს შორის. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

### ოჯარა

ოჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ ოჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა ოჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) ოჯარად.

ფინანსური ოჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, ოჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება ოჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ოჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური ოჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი ოჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივ- ვი მეთოდით, შესაბამისი ოჯარის ვადისგანმავლობაში.

### ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება წებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

გადასახადები.

მოგების გადასახადი - 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი

„კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით

„მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
( ქართულ ლარში )

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

### 3. მნიშვნელოვანისააღრიცხვოშეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები. ზოგიერთი ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ ერთობლივი საქმიანობის მიზნებისათვის შეძენილი, ან ერთობლივ საქმიანობაში შეტანილი ერთი ან რამდენიმე აქტივის ერთობლივ კონტროლს და ხშირად ასევე ამ აქტივების ერთობლივ საკუთრებასაც. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში თავის წილთან მიმართებაში, სრულუფლებიანმა მონაწილემ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს: (ა) თავისი წილი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება აქტივების ბუნების შესაფერისი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით; (ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკუთარი ვალდებულება; (გ) თავისი წილი სხვა სრულუფლებიან მონაწილეებთან ერთად აღებულ ვალდებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ საქმიანობასთან; (დ) ერთობლივი საქმიანობის პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე ერთობლივი საქმიანობისათვის გაღებულ ხარჯებში საკუთარი წილი; და (ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გასწია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდია. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე  
**2022 წლის 31 დეკემბერს** დასრულებული წლისათვის  
 ( ქართულ ლარში )

შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდსა და სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომა აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

შენიშვნა 4. ამონაგები

|                        | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------|---------------------------|---------------------------|
| მომსახურების გაწევიდან | 1,521,081                 | 2,902,536                 |
| <b>ჯამი</b>            | <b>1,521,081</b>          | <b>2,902,536</b>          |

შენიშვნა 5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

|                    | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|--------------------|---------------------------|---------------------------|
| მომსახურების ხარჯი | 1,220,840                 | 2,177,933                 |
| <b>ჯამი</b>        | <b>1,220,840</b>          | <b>2,177,933</b>          |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " V&S Brothers "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

( ქართულ ლარში )

შენიშვნა 6. ძირითადი  
საშუალებები

|                                       | მიწა | დაუმთავრებელი<br>შენიშვნა | ნაგებობები | მანქანა<br>დანადგარები | ოფისის<br>აღწერილობა | არამატერი<br>ალური<br>აქტივი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | იჯარი<br>თ<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | სულ      |
|---------------------------------------|------|---------------------------|------------|------------------------|----------------------|------------------------------|-----------------------------|--------------------------------------------------|----------|
| <i>საბალანსო ღირებულება</i>           |      |                           |            |                        |                      |                              |                             |                                                  |          |
| დეკემბერი 31, 2020                    | -    | -                         | -          | --                     | 59,767               | -                            | -                           | -                                                | 59,767   |
| შემოსვლა                              | -    | -                         | -          | --                     | 6,272                | -                            | -                           | -                                                | 6,272-   |
| გასვლა                                | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                | -        |
| დეკემბერი 31, 2021                    | -    | -                         | -          | -                      | 66,039               | -                            | -                           | -                                                | 66,039   |
| შემოსვლა                              | -    | -                         | -          | -                      | ---                  | -                            | -                           | -                                                | -        |
| გასვლა                                | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                | -        |
| დეკემბერი 31, 2022                    | -    | -                         | -          | -                      | 66,039               | --                           | -                           | -                                                | 66,039   |
| <i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i> |      |                           |            |                        |                      |                              |                             |                                                  |          |
| დეკემბერი 31, 2020                    | -    | -                         | -          | --                     | ( 30,914)            | -                            | -                           | --                                               | (30,914) |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | -    | -                         | -          | -                      | (5,916)              | ---                          | -                           | ---                                              | (5,916)  |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე        | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                | ---      |
| დეკემბერი 31, 2021                    | -    | -                         | -          | -                      | (36,830)             | --                           | -                           | ----                                             | (36,830) |
| მიმდინარე წლის ცვეთა                  | -    | -                         | -          | -                      | (6,226)              | -                            | -                           | -                                                | (6,226)  |
| ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე        | -    | -                         | -          | -                      | -                    | -                            | -                           | -                                                | -        |
| დეკემბერი 31, 2022                    | -    | -                         | -          | -                      | (43,056)             | --                           | -                           | --)                                              | (43,056) |
| <i>ნარჩენი ღირებულება</i>             |      |                           |            |                        |                      |                              |                             |                                                  |          |
| დეკემბერი 31, 2020                    | -    | -                         | -          | -                      | 28,853               | -                            | -                           | ---                                              | 28,853   |
| დეკემბერი 31, 2021                    | -    | -                         | -          | -                      | 29,209               | -                            | -                           | -                                                | 29,209   |
| დეკემბერი 31, 2022                    | -    | -                         | -          | -                      | 22,986               | -                            | -                           | -                                                | 22,986   |

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "V&S Brothers"  
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე 2022 წლის 31  
 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

შენიშვნა 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სავაჭრო დებიტორები                       | 55,778                    | 66,232                    |
| გაუფასურების ზარალის თანხა               |                           |                           |
| სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება |                           |                           |
| წინასწარი გადახდილი ავანსები             | 13,763                    | 13,727                    |
| ჯამი                                     | 69,542                    | 79,960                    |

შენიშვნა 8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                              | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|----------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ფულადი სახსრები სალარაოში                    | -                         | ---                       |
| ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე | 54,908                    | 87,043                    |
| მოკლევადიანი ვადიანი ანაზღაურებები ბანკში    | -                         | -                         |
| ოვერდრაფტები                                 | -                         | -                         |
| ჯამი                                         | 54,908                    | 87,043                    |

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                   | 2022 წლის 31<br>დეკემბერი | 2021 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| სხვა ვალდებულებები                                |                           |                           |
| სავაჭრო ვალდებულებები                             | 12,680                    | 3,326                     |
| მ.შ. ა) დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი |                           |                           |
| ბ) სხვა მომწოდებლებისათვის გადასახადელი           |                           | 5,287                     |
| წინასწარ მიღებული თანხები                         | 11,145                    | 11,145                    |
| ჯამი                                              | 23,825                    | 23,825                    |

შენიშვნა 10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 15 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ვანუზი ნიკუჭაძე  
 დირექტორი

2023 წლის 15 აპრილი  
 თბილისი, საქართველო

